



ცენკომ

საპარტიზო-საარჩევნო
კომისიისთვის

საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაციის
არჩევნების
სანდოობის
რისკების
მართვის
გეგმა

მაისი

2016



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.

ტელ: 251 00 51

ვებ-გვერდი: www.cesko.ge

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაციის არჩევნების
სანდომობის რისკების
მართვის გეგმა

მაისი
2016

I. შესავალი

ა. ცვსკოს ხელშეწყობის სანდოობასთან დაკავშირებული რისკების მართვის შესახე

არჩევნების სანდოობის უზრუნველყოფა წარმოადგენს ყველა ჩართული მხარის პასუხისმგებლობას. აქ მოიაზრება საარჩევნო ადმინისტრაცია და საარჩევნო პროცესის მხარდამჭერი ყველა სახელმწიფო უწყება. ასევე, კანონმდებლები და გადამწყვეტილების მიმღები პირები, პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სუბიექტები, საარჩევნო პროცესში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მედია საშუალებები, ამომრჩევლები და საქართველოში საარჩევნო დემოკრატიის გაძლიერების საქმეში წვლილის შემტანი საერთაშორისო საზოგადოება.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) იღებს ვალდებულებას, მისი პასუხისმგებლობის და კომპეტენციის ფარგლებში არსებული საკითხების გათვალისწინებით, მართოს ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების სანდოობა იმ მიდგომების და მეთოდების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმაში.

საარჩევნო პროცესების სანდოობის მიმართ ცესკოს მიერ ნაკისრი ინსტიტუციური ვალდებულება გადმოცემულია შემდეგი განცხადების საშუალებით:

საქართველოში არჩევნების სანდოობის უზრუნველყოფისთვის საკვანძო ელემენტია შესაძლო რისკების ქმედითი მართვა.

ცესკოს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე სწორი მენეჯმენტის წარმართვა. ცესკო აღნიშნული ინსტიტუციური მიზნის მიღწევას შემდეგნაირად შეძლებს:

- არჩევნების სანდოობასთან დაკავშირებული რისკების მართვა უნდა გახდეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ინსტიტუციური კულტურის ნაწილი;
- რეგულარულად უნდა განხორციელდეს არჩევნების სანდოობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების შეფასება და რისკების შემცირების სტრატეგიებისა და შესაბამისი ზომების განსაზღვრა;
- უნდა განხორციელდეს რისკების განსაზღვრის, შემცირების და აღმოფხვრის დაგეგმვა;
- უნდა გაიზარდოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და არჩევნებში ჩართული მხარეების არჩევნების სანდოობის შესახებ ინფორმირებულობა;

- უნდა ჩამოყალიბდეს საარჩევნო სფეროში ჩართულ სხვა მხარეებთან თანამშრომლობის ტრადიცია, რათა მათ აიღონ თავიანთი პასუხისმგებლობა არჩევნების სანდოობის უზრუნველყოფის საკითხში.

ბ. სტრატეგიული გეგმის შესაბამისი დაბუღება

საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნების სანდოობის რისკების თავიდან აცილების მიზნით 2015-2019 წლების სტრატეგიულ გეგმაში შემდეგი პრიორიტეტები განსაზღვრა:

1. ინსტიტუციური გაძლიერება

- მიზანი #1:* ეფექტური მართვის უზრუნველყოფა
- ამოცანა #6:* ორგანიზაციული რისკების მართვის სისტემის სრულყოფა
- საქმიანობა #1:* ორგანიზაციული რისკების მართვის პროცედურების შემუშავება და დანერგვა
- საქმიანობა #2:* რისკების მართვის რეგულარული მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

2. საარჩევნო გარემო

- მიზანი #2:* არჩევნების სანდოობის (Integrity) უზრუნველყოფა
- ამოცანა #1:* არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება
- საქმიანობა #1:* უსაფრთხო საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა.

ბ. რისკების კლასიფიკაცია

ცესკო ცნობად იღებს იმ კონკრეტულ ჩარჩოს, რომელიც შეიმუშავა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES) შეფასების დაპატენტებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. ჩარჩო მოიცავს რისკების სამ კატეგორიას:

- ა. სისტემური მანიპულირება:** სამართლებრივი ნორმების ან/და საარჩევნო პროცედურების იმგვარი გამოყენება, რაც ფართოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მოდის და რაც მიზანმიმართულად ზემოქმედებს ამომრჩეველთა ნების დამახინჯებაზე;

ბ. გადაცდომა/არაჯეროვანი შესრულება: საარჩევნო მოხელის ნებისმიერი გადაცდომა, რომელიც გამოწვეულია უგულვებელყოფით ან დაუდევრობით;

გ. გაყალბება: საარჩევნო მოხელის ან საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარის მიერ ჩადენილი მიზანმიმართული ქმედება, რომელიც მიმართულია ამომრჩევლის ინდივიდუალური თუ კოლექტიური არჩევანის დამახინჯებისკენ.¹

კონცეფციის მთავარ არსს წარმოადგენს ის, რომ არჩევნებში ჩართულ ყველა მხარეს აქვს თავისი პასუხისმგებლობა სანდოობის უზრუნველყოფასა და დაცვაში. არსებული რისკების წარმოქმნისას განისაზღვრება თუ რომელი ჩართული მხარის მოქმედება არის საჭირო ამ რისკების სამართავად. უფრო კონკრეტულად კი – ზოგიერთი რისკ-ფაქტორი მოქცეულია ცესკოს მანდატსა და უფლებამოსილების ფარგლებში, მაგალითად, გადაცდომასა და გაყალბებასთან დაკავშირებული რისკები. ამ რისკების აღმოფხვრა ასევე მოითხოვს სხვადასხვა მხარეების ერთიან ჩართვას, ხოლო სისტემური მანიპულირების რისკების შემცირება დამოკიდებულია პარლამენტის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწაზე, თუმცა თავის მხრივ, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მიიღონ ზომები საკანონმდებლო წინადადებების შემუშავებისა და ინიცირებისათვის.

1. დაპატენტებული კონცეპტუალური ჩარჩო შემუშავებულია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ.

II. საარჩევნო ადმინისტრაციის არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გზების საჭიროების დასაბუთება და პრიორიტეტული მიმართულებები

არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა შემუშავებულია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებებზე დაყრდნობით. წყაროდ გამოყენებულია ისეთი დოკუმენტების ხანგრძლივი კვლევისა და საფუძვლიანი ანალიზის შედეგები, როგორებიცაა, სადამკვირვებლო მისიების ანგარიშები, არჩევნების ტექნიკური შეფასების ანგარიშები და ასევე, სხვა ჩართულ მხარეთა მოსაზრებები, რომლებიც მოიცავს 2012 წლიდან გამართულ ყველა არჩევნებს. განსაკუთრებული გავლენა ამ პროცესზე მოახდინა საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) არჩევნების სანდოობის (მდგრადობის) შეფასების ანგარიშმა, რომელიც განხორციელდა 2014 წლის გაზაფხულზე. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია სამ ძირითად მიდგომაზე, კერძოდ, სისტემური მანიპულირება, გადაცდომა და გაყალბება, რაც ითვალისწინებს ჩართულ მხარეთა პასუხისმგებლობას რისკების თავიდან აცილების ან მათი შემცირების კუთხით.

არჩევნების სანდოობის შეფასების მეთოდოლოგია არ ეყრდნობა მხოლოდ წარსულში არსებულ ხარვეზებს/დარღვევებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ სისუსტეებს, რასაც, ასეთი განზრახვის არსებობის შემთხვევაში, შეუძლია მომავალში გამოიწვიოს სისტემური მანიპულირების ან გაყალბების შემთხვევები ან ხელი შეუწყოს გადაცდომას. ეს არის მომავალზე ორიენტირებული მეთოდოლოგია, რაც იძლევა პროაქტიური დაგეგმვის საშუალებას არჩევნების სანდოობის რისკების აღმოსაფხვრელად გრძელვადიან პერსპექტივაში. ამას გარდა, მეთოდოლოგიის რაოდენობრივი ასპექტი ნაკლოვანებების პრიორიტეტულობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, რაც შესაბამისად ვრცელდება რისკების თავიდან აცილებისთვის აუცილებელ ქმედებებზე.²

2. არჩევნების სანდოობის შეფასების დასკვნებზე მეტი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, იხილოთ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ საქართველოში ჩატარებული არჩევნების სანდოობის (მდგრადობის) შეფასების ანგარიში.

არჩევნების ის სფეროები, სადაც თუნდაც მცირედი ხარვეზები არსებობს³ და რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება ცესკოს კომპეტენციასა და უფლებამოსილების ფარგლებს – წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმაში ასახული სტრატეგიებისა და საქმიანობის განხორციელების დასაბუთებასა და საფუძველს, რაც მოიცავს:

რისკის კატეგორია	სისხილმური მანიპულირება	ბადაცდომა/არაპროკვიანი შესრულება	ბაყალბება
ქვეკატეგორია	ინსტიტუციური ჩარჩო	ინსტიტუციური ჩარჩო	საარჩევნო დავები
	საზღვრების დაყოფა	ინფრასტრუქტურა და დაგეგმვა	ხმების დათვლა
		სამართლებრივი ჩარჩო	კენჭისყრის პროცედურები
		არჩევნებზე დაკვირვება და მონიტორინგი	შედეგების შეჯამება და დამოწმება
		კენჭისყრის პროცედურები და ამომრჩეველთა მომსახურება	
		შედეგების შეჯამება	
		ამომრჩეველთა რეგისტრაცია	
		არჩევნების უსაფრთხოება და სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციები (კიბერ უსაფრთხოება მოიაზრება ამ ქვე-კატეგორიაში)	
		საარჩევნო დავები	
		საზოგადოების ინფორმირება და ამომრჩეველთა განათლება	
		ტრენინგი და ორგანიზაციული განვითარება	
		ხმების დათვლის პროცესი	

3. კატეგორიები და ქვეკატეგორიები გამოდინარეობს შეფასების მეთოდოლოგიიდან და შეესაბამება ანგარიშის დასკვნებს. კერძოდ ქვეკატეგორიები მოიცავს: (1) სამართლებრივი ჩარჩო, (2) საარჩევნო სისტემა და საზღვრების დაყოფა, (3) ინსტიტუციური ჩარჩო, (4) მედია და პოლიტიკური დაფინანსება, (5) ინფრასტრუქტურა და დაგეგმვა, (6) არჩევნებზე დაკვირვება და მონიტორინგი, (7) საარჩევნო დავები, (8) საჯარო ინფორმაცია და ამომრჩეველთა განათლება, (9) ტრენინგი და ორგანიზაციული განვითარება, (10) ამომრჩეველთა რეგისტრაცია, (11) არჩევნების უსაფრთხოება და სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციები, (12) არჩევნების ბიუჯეტი/დაფინანსება, (13) საარჩევნო ოპერაციები, (14) ხმების დათვლა და (15) შედეგების შეჯამება.

III. საარჩევნო ადმინისტრაციის არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გზა: რისკების მართვის სტრატეგიები და საქმიანობები

საარჩევნო რისკების თავიდან აცილების მიზნით, ცესკომ დაამტკიცა არჩევნების სანდოობის რისკების მართვის წინამდებარე გეგმა. ცესკომ შეიმუშავა ცხრილი (სისტემური მანიპულირების, გაყალბების და გადაცდომის თავიდან აცილების პრიორიტეტები: რისკების თავიდან აცილების სტრატეგიები და ქმედებები, რომლებიც ექცევა ცესკოს კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში), რომელშიც ასახულია რისკების მართვის სტრატეგიები და საქმიანობები. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტრატეგიები და საქმიანობები გამომდინარეობს ცესკოს კომპეტენციიდან და უფლებამოსილებიდან, ასევე იძლევა დამატებითი კვლევის, ექვერტიზის, საზოგადოების ინფორმირების, განათლების და სხვა ჩართულ მხარეებთან კოორდინაციის შესაძლებლობას. ცხრილში წარმოდგენილია საქმიანობისთვის საჭირო აუცილებელი წინაპირობები. ამას გარდა, მასში მოცემულია ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის კომისიის წევრთა და თანამშრომელთა შესახებ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მათზე გადანაწილებულ საქმიანობებზე განსაზღვრულ დროის მონაკვეთში.

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვის მიზნით, ცესკო მხარს უჭერს საჭიროებისამებრ გეგმის გასაჯაროებას. ამ ეტაპისათვის, ცესკომ უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთათვის გეგმის გაცნობა და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით გეგმის საბოლოო ვარიანტის დამტკიცება. ცესკო მიესალმება სამოქალაქო საზოგადოების და მედიის ჩართულობას გეგმის შესრულების და დასახული მიზნების მიღწევის პროცესზე მონიტორინგის განხორციელების თვალსაზრისით. იქედან გამომდინარე, რომ არჩევნების სანდოობის მიმართ არსებობს რისკები, რომლებიც ცდება ცესკოს კომპეტენციის ფარგლებს და მათზე რეაგირებისათვის საჭიროა საარჩევნო სფეროში ჩართული სხვა მხარეების აქტიური ჩართულობა და რეაგირება – ცესკო მზად არის, ითანამშრომლოს ამ მხარეებთან, რათა მოხდეს საქართველოში არჩევნების სანდოობის სისუსტეების გამოსწორება.⁴

4. დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, იხილოთ სისტემური მანიპულირების, გაყალბების და გადაცდომის თავიდან აცილების პრიორიტეტები: რისკების თავიდან აცილების სტრატეგიები და ქმედებები, რომლებიც ექცევა ცესკოს კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში და თავად გეგმის შესრულების მონიტორინგის გეგმა.

IV. ცესკოს არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმაზე მომუშავე ჯგუფი

ცესკომ შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის მომზადებაზე, მისი განხორციელების პროცესის კოორდინაციასა და ზედამხედველობაზე. ჯგუფი ასევე უზრუნველყოფს გარე კომუნიკაციას და თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებთან.

სამუშაო ჯგუფი შედგება ცესკოს წევრის, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, სწვალების ცენტრის წარმომადგენლისა და თავმჯდომარის მრჩეველები-საგან.

V. ცესკოს არჩევნების სანდოობის რისკების მართვის შიდა გეგმის შეამუშავებისა და დასრულების პროცესი

არჩევნების სანდოობის რისკების მართვის შიდა გეგმა შეიმუშავა სამუშაო ჯგუფმა, რომელიც განხილვისა და რეკომენდაციებისთვის გადაეგზავნა ცესკოს წევრებს. რეკომენდაციების გაზიარების შემდეგ, არსებული გეგმისა და ცხრილის (სისტემური მანიპულირების, გაყალბების და გადაცდომის თავიდან აცილების პრიორიტეტები: რისკების თავიდან აცილების სტრატეგიები და ქმედებები, რომლებიც ექცევა ცესკოს კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში) გაცნობა მოხდა ყველა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, მათ შორის მათთვისაც, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულები საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ განხორციელებულ კვლევაში. ასევე, გეგმას გაეცნენ საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

საბოლოო ეტაპზე არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა და ცხრილი (სისტემური მანიპულირების, გაყალბების და გადაცდომის თავიდან აცილების პრიორიტეტები: რისკების თავიდან აცილების სტრატეგიები და ქმედებები, რომლებიც ექცევა ცესკოს კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში) კიდევ ერთხელ განიხილა ცესკომ.

VI. ცესკოს არჩევნების სანდოობის რისკების მართვის შიდა გეგმის განხორციელება

ა. საინფორმაციო შეხვედრები ცესკოს წევრებისა და თანამშრომლებისათვის არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის შესახებ

არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის დამტკიცებისთანავე, ცესკო გამართავს საინფორმაციო შეხვედრებს იმისათვის, რომ მის თანამშრომლებს, როგორც ერთიან ინსტიტუციას, სრული აღქმა ჰქონდეთ გეგმის შესახებ და ასევე, ჰქონდეთ მისი განხორციელების პროცესში პასუხისმგებლობის განცდა. მსგავსი ტიპის შეხვედრები გაიმართება კომისიის წევრებსა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან. თავის მხრივ, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები იქნებიან პასუხისმგებლები მათი თანამშრომლებისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე. ცესკო უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების დასწრებას აღნიშნულ შეხვედრებზე. სწავლების ცენტრთან თანამშრომლობით, ცესკო აღნიშნულ გეგმას შეიტანს იმ სატრენინგო პროგრამებში, რომლებიც უტარდებათ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

ბ. ცესკოს არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის განხორციელება

საარჩევნო ადმინისტრაცია, ცესკოს მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საარჩევნო ადმინისტრაციის არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის და მის ცხრილთან დაკავშირებულ საქმიანობებს, განახორციელებს 2016-2019 წლებში.

ბ. ინფორმაციის საჯაროობა და კომუნიკაციის სტრატეგია

არჩევნების სანდოობის მართვის გეგმის დამტკიცების შემდგომ შემუშავებული გარე კომუნიკაციის გეგმის შესაბამისად, ცესკო გამართავს გარე შეხვედრებს გეგმის საჯარო ნაწილთან დაკავშირებით. შეხვედრები გაიმართება დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული სამუშაო შეხვედრების მიზანს წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრისათვის ცნობიერების ამაღლება და მეტი ინფორმირებულობა საქართველოში არჩევნების სანდოობის რისკებთან დაკავშირებით მათ შორის, ისეთ რისკებთან დაკავშირებითაც, რომლებიც არ წარმოადგენს ცესკოს კომპეტენციას.

ცესკო აცნობიერებს თავისი მოქმედებების გამჭვირვალობისა და საჯარო ანგარიშგების აუცილებლობას. ეს ვალდებულება ასევე ეხება არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმას. ცესკო პერიოდულად წარადგენს სიახლეების მიმოხილვას არჩევნების სანდოობის ამაღლებასთან დაკავშირებით და მიესალმება სადამკვირვებლო ორგანიზაციების ჩართულობას.

დ. მონიტორინგი და შეფასება

საარჩევნო ადმინისტრაციის არჩევნების სანდოობის რისკების მართვის შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის გეგმა წარმოადგენს ცესკოს მიერ განხორციელებული საქმიანობების შესრულების შეფასების საშუალებას, რომელსაც სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს 2016 წელს. ცესკო რეგულარულად განახორციელებს გეგმის მონიტორინგს და ასევე, აწარმოებს პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშგებას. ამასთანავე, ცესკო მიესალმება სხვა ჩართული მხარეების მონაწილეობას გეგმის განხორციელების პროცესში.

VII. საქართველოში არჩევნების სანდოობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმა

ცესკო არ არის საქართველოში არჩევნების სანდოობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ერთადერთი ორგანო. აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული რისკების აცილებასა და მოგვარებაში სხვა ჩართული მხარეებიც იღებენ მონაწილეობას. ცესკო უზრუნველყოფს ჩართული მხარეებისათვის სრული ინფორმაციის მიწოდებას არჩევნების სანდოობის (მდგრადობის) შეფასების ანგარიშის⁵ მეთოდოლოგიისა და კონცეფციის, დასკვნების და რეკომენდაციების, ცესკოს მიერ განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

5. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ საქართველოში ჩატარებული არჩევნების სანდოობის (მდგრადობის) შეფასების ანგარიში.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია – არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა

სისტემური მანიპულირების, გაყალბების და ბადაცდომის თავიდან აცილების პრიორიტეტული რისკების თავიდან აცილების სტრატეგია და პედაგოგი, რომელიც ემყარება ცნობის კომპათენციის და უზღუდავობის დარღვევას

კატეგორია	პრიორიტეტული მიმართულება	რისკების მართვის სტრატეგიები/ქმედებები	აუცილებელი წინაპირობა	პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები	ვადები	სტატუსი
სისტემური მანიპულირება	სამართლებრივი ჩარჩო	<ul style="list-style-type: none"> სამართლებრივი ჩარჩოს განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რათა მოხდეს ტექნიკური საკითხების რეფორმირება კონსულტაციები ჩართულ მხარეებთან 	<ul style="list-style-type: none"> ჩართული მხარეების მხრიდან საკითხისადმი ინტერესი/სურვილი გამოსატყუია 	<ul style="list-style-type: none"> ღირდოვანი დეპარტამენტი საარჩევნო პროცესის მართვის დეპარტამენტი 	<ul style="list-style-type: none"> მუდმივი/განხილვის დასრულების შემდეგ მუდმივი/განხილვის დასრულების შემდეგ 	<ul style="list-style-type: none"> ნაწილობრივ შესრულებული მუდმივად მიმდინარე
		<ul style="list-style-type: none"> ამომრეველთა და ჩართულ მხარეთა ინფორმირების/განათლების პროგრამის შემუშავება საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ: <ul style="list-style-type: none"> ზოგადი ცვლილებებზე მიმართული 	<ul style="list-style-type: none"> ცვლილება გამსორციელებულია 	<ul style="list-style-type: none"> სწავლების ცენტრი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ღირდოვანი დეპარტამენტი საარჩევნო პროცესის მართვის დეპარტამენტი 	<ul style="list-style-type: none"> მუდმივი/ცვლილებიდან გამომდინარე 	<ul style="list-style-type: none"> მუდმივად მიმდინარე
სისტემური მანიპულირება	სამდგრების დაყოფა	<ul style="list-style-type: none"> ცესკო უზრუნველყოფს სამუშაო შედეგების გამართვას, რათა მოხდეს შესაბამისი სტანდარტების განხილვა ოქტების აბალი სამდგრების დასადგენად კანონის მოთხოვნის შესაბამისად საარჩევნო ოქტების შექმნის პროცესი განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ცესკოს უფლებამოსილების დარღვევებში აღნიშნულ საკითხზე პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია 	<ul style="list-style-type: none"> კანონი მიღებულია არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირება საკითხისადმი ინტერესი/სურვილი გამოსატყუია 	<ul style="list-style-type: none"> საარჩევნო პროცესის მართვის დეპარტამენტი ღირდოვანი დეპარტამენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი საარჩევნო პროცესის მართვის დეპარტამენტი ღირდოვანი დეპარტამენტი საარჩევნო პროცესის მართვის დეპარტამენტი 	<ul style="list-style-type: none"> მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა არაუგვიანეს 15 მარტისა კანონით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, თუმცა არაუგვიანეს 1 აპრილისა მუდმივი/ცვლილებიდან გამომდინარე 	<ul style="list-style-type: none"> დასრულებული დასრულებული დასრულებული

<p>გაყალბება</p>	<p>საარჩევნო დაგეგმვა</p>	<ul style="list-style-type: none"> კონსულტაციები დავების სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფის, პროცესების გამართებისა და ვადების გადახედვის მიზნით საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარისთვის განახლებული სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევით ცესკოში შემოსული საჩივრების განხილვად დატოვების გარემოების აღრიცხვა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა მომავალი არჩევნების პროცესში პრევენციის მიზნით სმს გზაწილებზე დაუფინანსებელი მონიტორინგის და გეოინფორმაციული სისტემის პილოტის შემოღება, რომელიც შესაძლებელს გახდის საჩივრებზე დაყრდნობით ტენდენციების გამოვლენას მოკლევების გვერდის შერჩევა და მათი მოშობა კანონმდებლობის დარღვევებზე მოკლევების ჩატარების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 	<ul style="list-style-type: none"> ჩართული მხარეების მხრიდან ინტერეს/სურვილი გამოხატულია დინამური/ტექნიკური რესურსები არსებობს არსებობს ტექნიკური უქსპერტება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სანდოობა და ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურა გამართულია არსებობს შესაბამისი ადამიანური რესურსები 	<ul style="list-style-type: none"> იურიდიული დეპარტამენტი სწავლების ცენტრი იურიდიული დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი საოლქო საარჩევნო კომისიები საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი საოლქო საარჩევნო კომისიები შიდა აუდიტის სამსახური იურიდიული დეპარტამენტი საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი 	<p>მუდმივი/ ცვლადებიდან გამოზონარე</p> <p>მუდმივი</p> <p>ყოველი არჩევნების შემდეგ</p> <p>არაგვეიანეს 2018 წლისა</p> <p>არჩევნების ჩატარებამდე</p>	<p>შესრულების პროცესში</p> <p>მუდმივად მიმდინარე</p> <p>დაგეგმვის პროცესში</p> <p>დაგეგმვის პროცესში</p> <p>დაგეგმვის პროცესში</p>
<p>გაყალბება</p>	<p>ხმების დათვლა</p>	<ul style="list-style-type: none"> საარჩევნო უბნებზე არჩევნების შედეგების გამოქვეყნების ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა და გამოქვეყნების წესის შესახებ ინფორმირება საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესის/ არსებული ფორმების გადახედვა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ყველა ბიულეტენის არჩევნების საბოლოო შედეგების ოქმში აღრიცხვასთან დაკავშირებით მოხდეს საბოლოო შედეგების ოქმის პალების და მათი გასაკარობის წესის შესახებ ინფორმირება და არსებული კანონმდებლობის სრული, თანმიმდევრული უზრუნველყოფა მოხდეს მასალის გადატანის პროცესის ყველა ეტაპზე უსაფრთხოვად გადაადგილების უზრუნველყოფა 	<ul style="list-style-type: none"> ჩართულ მხარეებს შორის კონსენსუსი მიღწეულია შესაბამისი საკანონმდებლო პროგრამები განხორციელებულია უსაფრთხოება დაიცულია 	<ul style="list-style-type: none"> საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი საოლქო საარჩევნო კომისიები სწავლების ცენტრი ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი საოლქო საარჩევნო კომისიები სწავლების ცენტრი ცესკო საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი 	<p>არჩევნების ჩატარებამდე</p> <p>განხილული და დასრულებული</p> <p>მიმდინარე/ დასრულებულია</p> <p>მიმდინარე</p>	<p>დაგეგმვის პროცესში</p> <p>განხილული და დასრულებული</p> <p>მუდმივად მიმდინარე</p> <p>მუდმივად მიმდინარე</p>

გადაღება	საარჩევნო ოპერაციები	<ul style="list-style-type: none"> • განხორციელდეს უსაფრთხოების ზომების რეგულარული რევიზია გადახვედა, განახლება და წესის შესახებ ინფორმირება • დამხმარე პირის სამუდამო ხმის მიცემის პროცესზე არსებული ინსტრუქციის გადახვედა და განახლება; ასევე, შესაბამისი ტრენინგების და საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობების გამართვა, რათა დამხმარე პირის სამუდამო ხმის მიცემის პროცესი საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით წარმართოს 	<ul style="list-style-type: none"> • პროცედურები შემუშავებულია • ანონიმდებლობით განსაზღვრულია დამხმარე პირის სამუდამო ხმის მიცემა და ხმის ფარელობა 	<ul style="list-style-type: none"> • ცესკო • ინფორმაციული უსაფრთხოების შენევერი • სწავლების ცენტრი • ჟორდინაიციის, დევეგმის და ანგარიშგების დეპარტამენტი • იურიდიული დეპარტამენტი • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • სწავლების ცენტრი 	<ul style="list-style-type: none"> არაუგვიანეს 2016 წლისა არაუგვიანეს 2016 წლისა 	<ul style="list-style-type: none"> შესრულების პროცესში შესრულების პროცესში
გადაცდომა	ინსტიტუციური ჩარჩო	<ul style="list-style-type: none"> • ედუკატიური ორგანიზაციული სტრუქტურის გაერთიანება • საარჩევნო პროცესებში ჩართულ სხვა სახელმწიფო უწყებებთან უკეთესი კოორდინაციის მიზნით შესაბამისი შექმნილი შექმნა (მაგალითად: სახელმწიფო აუდიტის სამსახური, მსს და სხვ.) 	<ul style="list-style-type: none"> • ორგანიზაციული სტრუქტურა პასუხისმგებელი მოთხოვნებს • ცესკოს გააჩნია ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების დისკრეტია • სხვა უწყებების შირიდან თანამშრომლობაზე მზადყოფნა გამოხატულია 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსების მართვის სამსახური • ცენტრალური საარჩევნო კომისია 	<ul style="list-style-type: none"> მიმდინარე/ დასრულებული არაუგვიანეს 2016 წლისა 	<ul style="list-style-type: none"> ნაწილობრივ შესრულებული შესრულების პროცესში
გადაცდომა	ინფრასტრუქტურა და დაგეგმვა	<ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიული გეგმის შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება • არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის საჭიროებისამებრ განახლება და განხორციელების დანერგვა • საბუნო საარჩევნო კომისიებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის საკითხის გადახვედა და უზრუნველყოფა • ეთიკის კოდების გადახვედა და განახლება 	<ul style="list-style-type: none"> • საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია • არსებობს ცესკოს თანხმობა, კონსენსუსი • სამუშაო გეგმა შექმნილია • არსებობს რეგულარული კომუნიკაცია შესაბამის ორგანოებთან 	<ul style="list-style-type: none"> • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • იურიდიული დეპარტამენტი • სამუშაო გეგმა • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • საოლქო საარჩევნო კომისიები • საფინანსო დეპარტამენტი • ადამიანური რესურსების მართვის სამსახური • იურიდიული დეპარტამენტი • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი 	<ul style="list-style-type: none"> არაუგვიანეს 2016 წლისა არაუგვიანეს 2016 წლისა არაუგვიანეს 2017 წლისა არაუგვიანეს 2016 წლისა 	<ul style="list-style-type: none"> შესრულების პროცესში შესრულების პროცესში შესრულების პროცესში მუდმივად მიმდინარე
გადაცდომა	სამართლებრივი ჩარჩო	<ul style="list-style-type: none"> • სამართლებრივი ჩარჩოს განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რათა მოხდეს ტენიკური საკითხების რეფორმირება • კონსულტაციები ჩართულ მხარეებთან 	<ul style="list-style-type: none"> • ჩართული მხარეების შირიდან საკითხისადმი ინტერესი/ურთიერთობა გამოხატულია 	<ul style="list-style-type: none"> • იურიდიული დეპარტამენტი • იურიდიული დეპარტამენტი • საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი 	<ul style="list-style-type: none"> მიმდინარე მუდმივ/განხილვის დასრულების შემდეგ 	<ul style="list-style-type: none"> ნაწილობრივ შესრულებული მუდმივად მიმდინარე
		<ul style="list-style-type: none"> • ამორჩევნულია და ჩართულ მხარეთა ინფორმირების/ განათლების პროგრამის შემუშავება განხორციელებულია ჩარჩოს შესახებ. • ზოგადი • ცვლილებაზე მიხედვით 	<ul style="list-style-type: none"> • ცვლილება განხორციელებულია 	<ul style="list-style-type: none"> • სწავლების ცენტრი • საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი • იურიდიული დეპარტამენტი • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი 	<ul style="list-style-type: none"> მუდმივ/ ცვლილებიდან გამომდინარე 	<ul style="list-style-type: none"> მუდმივად მიმდინარე

გადაცდომა	არჩევნებზე დაკვირვება და მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> • დამკვირვებლებისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა არჩევნებზე დაკვირვების საერთაშორისო სტანდარტების შესახებ • საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება, რათა თავიდან იქონ აცილებული საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში ჩარევის მცდელობა; სადამკვირვებლო ჯგუფების მიერ დამოუკიდებელი დაკვირვების და ჩაურევლობის მოთხოვნების დაცვა და შესაბამისი სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფად უკეთესი გზების ძიება 	<ul style="list-style-type: none"> • ინტერნის გამოხატულია • დამკვირვებელთა მოთხოვნა არ აღმეტებება რეზერსს • კონსესუსი ჩართულ მხარეებს შორის მიღწეულია 	<ul style="list-style-type: none"> • სწავლების ცენტრი • ცენტრალური საარჩევნო კომისია • იურიდიული დეპარტამენტი • სწავლების ცენტრი 	არაუგვიანეს 2016 წლისა	მუსრულების პროცესში
გადაცდომა	საარჩევნო ოპერაციები	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის დარღვებს გარეთ მყოფი ამომრჩევლის არჩევნებში მონაწილეობის გაზრდის გზების ძიება სხვა პასუხისმგებელ ორგანოებთან კომუნიკაციის შედეგად • მომსახურების ხელშეწყობის შესახებ ამომრჩეველთა საკანონმდებლო და საინფორმაციო კამპანიის გაუმჯობესება შპმ შირთა ორგანიზაციებისათვის • საარჩევნო უზნების გადატირთლობის თავიდან ასაცილებელი საშუალებების მოკვლევა და განხილვა 	<ul style="list-style-type: none"> • სათანადო ბიუჯეტი არსებობს • ინტერნის/სურვილი გამოხატულია ჩართული მხარეების შორიდან • კომუნიკაცია არსებობს • ვებ-გვერდი შექმნილია და ხელშეწყობილია • არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა • არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის და რესურსების არსებობა 	<ul style="list-style-type: none"> • ცენტრალური საარჩევნო კომისია • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • კოორდინაციის, დეველპის და ანგარიშების დეპარტამენტი • საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი • სწავლების ცენტრი • ცენტრალური საარჩევნო კომისია • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი 	არაუგვიანეს 2018 წლისა	მუსრულების პროცესში
გადაცდომა	საბოლოო შედეგები	<ul style="list-style-type: none"> • შემოკლებული ოქმების ანალიზი, ოქმებში არსებული მონაცემების გონივრულობის შესწავლა და რეაქტივების მექანიზმების დანერგვის შესაძლებლობის განხილვა • ყველა საუბნო და საოლქო კომისიის მიერ შედეგების ზემდგომი კომისიისთვის მიწოდების წესის შესახებ ინფორმირება და სტანდარტიზაციის მოთხოვნების სრული დაცვის უზრუნველყოფა 	<ul style="list-style-type: none"> • ცესკოს გაჩინა მონაცემები არსებობს პროგრამა, ხარვეზების გამოსავლენად 	<ul style="list-style-type: none"> • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • სწავლების ცენტრი 	არჩევნების შემდეგ	დაგვემვის პროცესში
გადაცდომა	ამომრჩეველთა რეგისტრაცია	<ul style="list-style-type: none"> • გაუმჯობესებული საინფორმაციო კამპანიის განხორციელება, ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების ხელშეწყობის მიზნით • ამომრჩეველთა ერთიანი სისის სიხეტისადმი წდობის ანაღლებსის მიწითი ცესკოს ხელთ არსებელი შესაძლებლობების შესწავლა • ამომრჩეველთა ერთიანი სისის მონაცემთა ბაზის შესაღვენად საჭირო ინფორმაციის დროულად და სრულად მოპოვების მიწითი სახელისუფლებო სტრუქტურებთან კოორდინირების გაუმჯობესება 	<ul style="list-style-type: none"> • სათანადო და დროული ინფორმაციის ხელშეწყობილია • არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა • კომუნიკაცია დამყარებულია • არსებობს სხვა უნებების მზაობა თანამშრომლობისთვის 	<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • ცენტრალური საარჩევნო კომისია • საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი • საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი 	არაუგვიანეს არჩევნების დღემდე	დაგვემვის პროცესში
					წელიწადში ორჯერ	დანეგებელია მუსრულემა
					მიმდინარე/დსრულეული	ნანაღობორე მუსრულეული

გადაცდომა	არჩევნების უსაფრთხოება	<ul style="list-style-type: none"> • არჩევნების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის კომიციის/ფუნქციის შექმნა/გამოყვება • უსაფრთხოების რისკების შეფასება და მართვა • არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უწყებათაშორისი ვკვეთის შექმნის შესაძლებლობის განხილვა • არჩევნების უსაფრთხოების ტრენინგის პროგრამის, მასალების შემუშავება და დანერგვა 	<ul style="list-style-type: none"> • სათანადო რესურსების არსებობა • სხვა უწყებების მშაობა თანამშრომლობისთვის 	<ul style="list-style-type: none"> • ცენტრალური საარჩევნო კომისია • ცენტრალური საარჩევნო კომისია • ცენტრალური საარჩევნო კომისია • სწავლების ცენტრი • იურიდიული დეპარტამენტი 	<p>ნაწილობრივ შესრულებულია, დასრულებული არაა გვიანეს 2016 წლისა</p> <p>დაგეგმვის პროცესში</p> <p>მიმდინარე</p> <p>დაგეგმვის პროცესში</p>	<p>ნაწილობრივ შესრულებულია</p> <p>დაგეგმვის პროცესში</p> <p>შესრულების პროცესში</p> <p>დაგეგმვის პროცესში</p>
გადაცდომა	საარჩევნო დავები	<ul style="list-style-type: none"> • საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების სასწავლო გეგმების შემდგომი გაძლიერება • ტრენინგ კურსის ჩატარება იმისათვის, რომ წევრები, რომლებსაც არ გაეცლიათ შესაბამისი მომზადება საარჩევნო დავების განხილვის სტანდარტებზე (ჩანაცვლებული თანამშრომლები) – გაეცნონ მას • სსს გზავნილებზე დაფუძნებული მონიტორინგის და ეკონომორმაციული სისტემის პილოტის შემოღება, რომელიც შესაძლებულს გახდის საჩივრებზე დაყრდნობით ტენდენციების გამოვლენას • მოკვლევის კვლის შერჩევა და მათი მომზადება კანონმდებლობის დარღვევებზე მოკვლევის ჩატარების შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 	<ul style="list-style-type: none"> • ჩართული მხარეების შხიდან ინტერესი/სურვილი გამოხატულია • ფინანსური/ტექნიკური რესურსების არსებობა • არსებობს ტექნიკური ექსპერტიზა • საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სანდობა და ხელმისაწვდომობა • ინფრასტრუქტურა გამართულია • არსებობს შესაბამისი ადამიანური რესურსები 	<ul style="list-style-type: none"> • სწავლების ცენტრი • იურიდიული დეპარტამენტი • იურიდიული დეპარტამენტი • იურიდიული დეპარტამენტი • საოლქო საარჩევნო კომისიები • საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • იურიდიული დეპარტამენტი • საოლქო საარჩევნო კომისიები • შიდა აუდიტის სამსახური • იურიდიული დეპარტამენტი • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი 	<p>მიმდინარე/ დასრულებული</p> <p>მიმდინარე/ დასრულებული</p> <p>არაა გვიანეს 2018 წლისა</p> <p>არჩევნების ჩატარებამდე</p>	<p>მუდმივად მიმდინარე</p> <p>მუდმივად მიმდინარე</p> <p>დაგეგმვის პროცესში</p> <p>დაგეგმვის პროცესში</p>
გადაცდომა	ამომრჩეველთა განათლება	<ul style="list-style-type: none"> • ამომრჩეველთა განათლების ძალისხმევების მასშტაბების გაზრდა და ინტეგრირება არასაარჩევნო პერიოდებში • ამომრჩეველთა განათლების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება 	<ul style="list-style-type: none"> • რესურსები ხელმისაწვდომია 	<ul style="list-style-type: none"> • სწავლების ცენტრი • საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი • სწავლების ცენტრი 	<p>მუდმივი/მიმდინარე</p> <p>მუდმივი/მიმდინარე</p>	<p>მუდმივად მიმდინარე</p> <p>მუდმივად მიმდინარე</p>

გადაცდომა	ტრენინგი	<ul style="list-style-type: none"> • ოლქებისათვის სასწავლო პროგრამებში ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარების თემატიკის დამატება • საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუტო-ორგანიზაციული განვითარების მიზნით ტრენინგების თემატიკის გადართობა არჩევნებს შორის პერიოდში • უმცირესობებისათვის განკუთვნილი ტრენინგ პროგრამების კიდევ უფრო გაუმჯობესება 	<ul style="list-style-type: none"> • რესურსები ხელმისაწვდომია • საოლქო კომისიების ორგანიზაციული შესაძლებლობა • უმცირესობათა პიუჟენთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა დამყარებულია 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსების მართვის საშასური • ყველა დეპარტამენტი და სამსახური • ადამიანური რესურსების მართვის საშასური • ყველა დეპარტამენტი და სამსახური • სწავლების ცენტრი • კოორდინაციის, დაგეგმვის და ანგარიშების დეპარტამენტი 	მუდმივი/მიმდინარე	მუდმივად მიმდინარე
გადაცდომა	ხმების დათვლა	<ul style="list-style-type: none"> • ყველა უბნის/ოლქის მიერ შედგენილი ოლქისთვის/ცესკოსთვის მიწოდების სტანდარტიზაციის მოთხოვნების სრული დაცვის უზრუნველყოფა • საარჩევნო უბნებზე არჩევნების შედეგების გამოქვეყნების ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა • შემავაშებული ოქმების ანალიზი, ოქმებში არსებული მონაცემების გონივრულობის შესწავლა და რეაგირების მექანიზმების დანერგვის შესაძლებლობის განხილვა • მოხდეს ყველა ტიპის საარჩევნო მასალის ყველა ეტაპზე უსაფრთხოდ გადაადგილების უზრუნველყოფა • საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესის და არსებული ფორმების გადახედვა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ყველა ბიულეტენის არჩევნების საბოლოო შედეგების ოქმში აღრიცხვასთან დაკავშირებით 	<ul style="list-style-type: none"> • ცესკოს გააჩნია მონაცემები და შესაბამისი პროგრამა ხარვეზების გამოსაფლენად • შესაბამისი პროცედურები/ნუსხები განსამზერულია • არსებობს ჩართულ მხარეებს შორის კონსულსი 	<ul style="list-style-type: none"> • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • საოლქო საარჩევნო კომისიები • საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი • საოლქო საარჩევნო კომისიები • ცენტრალური საარჩევნო კომისია 	არაგვერანეს არჩევნების დღემდე	დაგეგმვის პროცესში
					არჩევნების დღეს	დაგეგმვის პროცესში
					არჩევნების შემდეგ	დაგეგმვის პროცესში
					დასრულებული	დასრულებული
					დასრულებული	დასრულებული

